პ რ ო ე ქ ტ ი

ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2020 წლის ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 18 184,1 ათ. ლარი, ნაშთი 2020 წლის 1 იანვრისათვის იყო 874,1 ათ. ლარი და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმამ შეადგინა 19 058,2 ათ. ლარი.

შემოსულობები: 2020 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 18 184,1 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 18 358,7 ათ. ლარი (101%); - აქედან ქონების გადასახადის გეგმა 200,0 ათ. ლარი - ფაქტი 267,6 ათ. ლარი (134%); დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმა 3 964,4 ათ. ლარი - ფაქტი 4 135,8 ათ. ლარი (104%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 13 761,5 ათ. ლარი - ფაქტი 13 699,8 ათ. ლარი (100%); სხვა შემოსავლებიდან პროცენტის გეგმა 40,0 ათ. ლარი - ფაქტი 38,1 ათ. ლარი (95%); მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გეგმა 123,2 ათ. ლარი - ფაქტი 117,2 ათ. ლარი (95%); შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან შემოვიდა 9,4 ათ. ლარი; ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელების გეგმა 15,0 ათ. ლარი - ფაქტი 18,8 ათ. ლარი (125%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 0,1 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 40,0 ათ. ლარი - ფაქტი 28,1 ათ. ლარი (70%); შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა 25,0 ათ. ლარი - ფაქტი 26,9 ათ. ლარი (108%); არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზების) გეგმა 15,0 ათ. ლარი, შემოვიდა 16,9 ათ. ლარი(112%).

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 19 058,2 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 16 509,7 ათ. ლარი (87%) აქედან:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შადგინა 1 925,0 ათ. ლარი - ფაქტი 1 826,5 ათ. ლარი (95%);
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გეგმა 14 406,0 ათ. ლარი - ფაქტი 12 193,9 ათ. ლარი (85%);
- დასუფთავება და გარემოს დაცვა გეგმა 410,0 ათ. ლარი - ფაქტი 409,5 ათ. ლარი (100%);
- განათლების დაფინანსების გეგმა 876,9 ათ. ლარი - ფაქტი 795,2 ათ. ლარი (91%);
- კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 532,8 ათ. ლარი - ფაქტი 521,9 ათ. ლარი (98%).
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 907,6 ათ. ლარი - ფაქტი 762,8 ათ. ლარი (84%).

მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გახარჯული იქნა 174 098 ლარი, აქედან: 1 574 ლარი ქ. ონში აღმაშენებლის ქ. N40-ში მდებარე (მუნიციპალიტეტის მერია) შენობის სარემონტო სამუშაოებისათვის, 1 498 ლარი სოფელ უწერაში საველე ჰოსპიტალის შენობის ინვერტარით აღჭურვისა და საჭირო სადეზინფექციო/ჰიგიენური საშუალებების შესყიდვისათვის, ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფისათვის მერიის და საკრებულოს შენობის სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება 2 750 ლარი, შეძენა სადეზინფექციო საშუალებების 500 ლარი, მოწყვლადი ჯგუფებისათვის სურსათისა და სადეზინფექციო საშუალებების შეძენა-დარიგება 5 218 ლარი, ქუჩებისა და მოედნების სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება 2 500 ლარი, ყოფილი სავადმყოფოს შენობაში მდებარე ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დამხმარე ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოები 5 214 ლარი, ადგილობრივი გზების თოვლისაგან და მეწყრისაგან წმენდის მომსახურების შესყიდვა 3 961 ლარი, ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების დაზარალებული მოქალაქეთათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფა 200 ლარი, 9 მაისის ღონისძიებასთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ორი მონაწილესათვის სასურსათო კალათის შეძენა 100 ლარი, სოფელ ღებში (შუკაჭალა-გორიბოლო) მომხდარი სტიქიის შედეგად (ძლიერი წვიმა) დაზიანებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 9 849 ლარი, მიმდინარე წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებული გარე სამყაროს მოწყვეტილი მოსახლეობის

უზრუნველყოფისათვის 44 784 (პირველადი მოხმარების საგნები, სასურსათო პროდუქტი, მედიკამენტები, საწვავის შესაძენად და ავტომობილების ტექნიკური მომსახურება), გახარჯული სტიქიის შედეგად დატბორილი და დაზიანებული ინფრასტრუქტურის წმენდა და შეკეთების სამუშაოებზე 87 656 ლარი, დეზობარიერების, სადეზინფექციო, უნივერსალური დანიშნულების სადეზინფექციო, სასტერილიზაციო პრეპარატი „ანოლიტი ანკ სუპერი"-ს და პირბადეების შესაძენად გაიხარჯა 1 750 ლარი, ონის მუნიციპალიტეტის მერიის შენობის სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 986 ლარი და მერიის შენობისათვის ერთი ერთეული 24 კვტ. ცენტრალური გათბობის ქვაბის შეძენა თანმდევი მომსახურებით 4 458 ლარი, 800 ლარი გაიხარჯა ახალი კორონავირუსის შედეგად გარდაცვლილი მოქალაქეების დაკრძალვისათვის საჭირო სამედიცინო აქსესუარების შეძენასთან დაკავშირებით და ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობის გათბობის სისტემის წყლის ტუმბოს შესყიდვა 300 ლარი.

წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის ფარგლებში სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა" და ონის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, გაცემულია საინვესტიციო სესხის ძირი თანხა 55 600 ლარი და საინვესტიციო სესხის პროცენტი 35 994 ლარის ოდენობით.

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ონის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ნაშთმა შეადგინა 2 723 021 ლარი.

შემსრულებელი: /ვალერიან გობეჯიშვილი/

/თინათინ ბროლაშვილი/